№ 216 ოქტომბერი 11, ხუთშაბათი 1890 ოქტომბერი 11, ხუთშაბათი № 216

# ივერია

| ფასი თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაწერად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ: თვითონ რედაქციას ტფილისში, ავჭალის ქუჩა, თ. გარსევანოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებშისასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სალიტერატურო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

## ქართული თეატრი

პარასკევს, 12 ოქტომბერს,
ქართულის თეატრის არტისტებისაგან
წარმოდგენილი იქნება:

I

### სუნდა გავიცარნეთ

კომედია 3 მოქმედ. ვ. სარდუსი

II

### დატრიალდა ჯარა

კომედიი 1 მოქმედ.

მოთამაშენი: ქ-ქ-ნ საფაროვისა, გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, გურესელიძისა; ბ-ნნი აბაშიძე, გედევანოვი, სვიმონიძე, კანდელაკი, და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

## ახალი ამბავი

** დღეს მოგვივიდა ბ-ნ ქუთათელის მიერ პაწია წიგნაკად დაბეჭდილი და გამოცემული წერილები ილია ჭავჭავაძისა ქუთაისის ბანკის კამიტეტისა და ბ-ნ ჩიჯავაძეს შორის მომხდარ აურზაურის შესახებ. წიგნაკს ეწოდება სახელად „ქუთაისის ბანკის საქმე", საკმაოდ შნოიანად არის გამოცემული, სულ 55 გვერდს შეიცავს და ფასადაც მეტად იაფი ფასი ადევს—ერთი შაური.

** ჩვენ მივიღეთ ახლად დაბეჭდილი „ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა ანუ ნოტების პირველ-დასაწყისი ანბანი", შედგენილი მთავარდიაკონის იოსებ შარაბიძის მიერ. ამ სახელმძღვანელო წიგნში საკმაოდ მდაბიურისა და ადვილად გასაგების ენით განმარტებულია პირველ-დასაწყისი ცნობანი, ნოტებისა და გალობის შესახები. ზემოხსენებულის სახელმძღვანელოს შემწეობით მსურველს ადვილად შეუძლიან, გაიგოს ნოტების ბუნება, ხმარება და გამოყენება. მეტადრე გამოსადეგი იქნება ეს სახელმძღვანელო სასწავლებლებში, სასოფლო და სამრევლო სკოლებში. იქ ცოტაოდნად გაგებული მასწავლებელი ადვილად შეიძლებს ამ სახელმძღვანელოთი იმდენად გააცნოს თავის შეგირდებს ნოტების წყობა და ხასიათი, რომ შეგირდმა მერე თვით მოიხერხოს მათი კითხვა რომელისამე მცირე პიესის ანუ საგალობელის სათქმელად და სამღერად. სახელმძღვანელო, თითო-ოროლა კორექტურულს შეცდომას თუ არ ვიანგარიშებთ, კარგად არის დაბეჭდილი და ღირს სულ 60 კაპ.

** გამოჩენილი ავაზაკი ტერ-ანდრიასოვი, რომელმაც ამას წინად ქალაქის რკინის გზის ევგზალზედ მოჰკლა პოლიციელი და გაიქცა, მოუკლავთ ყარსის ოლქის სამზღვარზე, როცა ერთის თავის ამხანაგით ოსმალოში გასვლას აპირებდა. ხოლო იმის გამოსაცნობლად, რომ მართლა ტერ-ანდრიასოვია მოკლული, თუ სხვა ვინმე, მთელი კამისია იყო დანიშნული მკვდარის შესამოწმებლად. კამისიასთან ერთად მახლობელნი ტერ-ანდრიასოვისა და სხვათა შორის მისი მამაც იყო გაგზავნილი. ამ კამისიას შეუმოწმებია და მოუხსენებია მთავრობისათვის, რომ მკვდარი სწორედ ტერ-ანდრიასოვია.

** მეჯრუხევი. მკითხველებს ეხსომებათ, ამ ზაფხულს რა ჩხუბები და თავის მტვრევა იყო უწყლობის გამო მეჯრუხეველებსა და ახრისელ-ახალუბნელებს შორის. სოფელ მეჯრუხევსა და მიდამო ოციოდე სოფელში მთელი ზაფხული, მაისიდამ ენკენისთვემდე, მინდვრებს, სიმინდებსა და ვენახებს ცვარი ცის ნამი არ უნახავს, რის გამოც ზემოხსენებულს სოფლებში, მეტადრე ზოგ ალაგას, სულ გადახმა სიმინდები, ხილეულობას ფოთოლი ჩამოსცვინდა, დაჭკნა დი ხმება, თვით ხილი და ყურძნის მარცვალი არ დასრულდა და მთელს მინდვრებში, მათ შორის უზარ-მაზარ ტირიფონის მინდორშიაც, საცხვრე ბალახიც-კი გაქრა. მეჯრუხევში ჩამოდის მდინარე მეჯუდა, რომლის წყალი, მეჯრუხევს გარდა, რწყავს ზოგიერთს ზემოხსენებულს სოფელს. თუმცა მეჯუდა საკმაოდ დიდი მდინარეა, მაგრამ გვალვის დროს ნახევრად ვერ აკმაყოფილებს ხსენებულს სოფლებს. ამ დროს ისეთს გაჭირვებაში არიან მცხოვრებნი, რომ ზოგიერთ სოფლის მცხოვრებს ხშირად დასალევი წყალიც ენატრებათ ხოლმე და წყლისთვის იძულებულნი არიან, კოკებით იარონ მეჯრუხევში მეჯუდაზედ. ასეთ გაჭირვების გამო მცხოვრებლებში გავარდნილა ხმა, რომ ოღონდ წყალი ვინმემ გაგვიჩინოს საიდანმე და მთელს ჩვენს ცხოვრებას ზედ გადავაგებთო. ეს ხმა გორშიაც მიაღწევდა, რასაკვირველია, და ერთს მცხოვრებელს უსარგებლია და გულში გადაუწყვეტია, რომ უეჭველად მე უნდა გამოუჩნდე პატრონად გაჭირვებულს ხალხსა და წყალი საიდანმე გამოუჩინოო. ზოგი ამბობს, რომ ეს კაცი თავისით-კი არ თავობს, მაზრის უფროსისაგან აქვს მიჩემებული ეს საქმეო. აზრი ფრიად საკეთილოა, ამას ეჭვი არა აქვს, მაგრამ განხორციელება ფრიად ძნელია.

** იქიდამვე: მეჯრუხევსა და ახლო-მახლო სოფლებში საშინლად მძვინვარებს ბავშვების ავადმყოფობა—ყვავილი. კვირა არ გავა, რომ ორი სამი ბავშვი არ იმსხვერპლოს ამ სენმა. ს. ჯარიაშენში ხუთმეტამდის ბავშვი იმსხვერპლა. ს. ზერტში თითქმის, ვისაც-კი ბავშვი ჰყავს, ყველას უხდება ავად და ბევრი იხოცება. არ ვიცით, რატომ ყურადღებას არ გვაქცევენ.

** ბერშუეთი: ბერშუეთსა და ხურვალეთს შორის სცხოვრებს ოთხიხუთი კომლი ოსი. ჩვიდმეტს სექტემბერს ორს აქაურს მეზობელს მოუპარავს ტყიდამ თავისსავე მეზობელ პ. ბიბილაშვილის ცხერიდამ ერთი ცხვარი და გორისაკენ წასულან. ბერშუეთს ახლოს რომ გაუტარებიათ, ვიღასაც შეუმჩნევია და დაუყვირნია, ვინა ხართო. ქურდებს ხმა არ გაუციათ. ამას დაუყვირნია, არიქა ქურდებიო. ხმაზედ დასდევნებიან თორმეტიოდე კაცი. მთვარიანი ღამე ყოფილა და ერთს შეუსწრია თვალი, რომ მომდევენო, და გაქცეულა. მეორე იქვე დარჩენილა. ამას წამოსწევიან და დაუჭერიათ, მეორე ქურდი არ გაუთქვამს. შეუბოჭიათ ხელ-ფეხი და უკან მოჰყავთ. გზაში პატრონი ბიბილაშვილი ცხენით წამოსწევია, დაუნახავს თუ არა ცხვარი და ხელ-ფეხ შეკრული კაცი, ამოდენა ხალხში, არც უციებია, არც უცხელებია, ამოუძვრია ხმალი და უთხლეშია. კაცი დაცემულა და მასუკან ველარა გავიგეთ-რა, ცოცხალი-ღაა თუ არა.

** ახალციხე: გუშინ, 7 ამ თთვისას, წირვა გადაიხადეს აქ განსვენებულ მამა აბბა პეტრე ხარისჩაროვის სულის მოსახსენებლად წმ. იოანე ნათლის-მცემლის ეკკლესიაში. მამა ხარისჩაროვი წინამძღვარი იყო სტამბოლის ქართველ-კათოლიკეთა მონასტრისა, ჰბეჭდავდა მრავალ ქართულ სასარგებლო წიგნს, უსასყიდლო სასწავლებლები ჰქონდა დამართული შეუძლო და ხელ-მოკლე ბერძენთა და სხვა სარწმუნოების ბავშვებისათვის სტამბოლს—იენი-შაჰარსა, უსკუდარსა და დარდანელში. მწირველი იყო მამა ა. შაანოვი. წირვას შემდეგ მამა ი. გვარამაძემ შესაფერი სიტყვაც წარმოსთქვა.

** ს. ზიარი (სიღნაღის მაზრა): 20 სექტემბერს ს. ქოდულოს ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელმა თ. დ. ანდრონიკაშვილმა ზიარის ტყეში იპოვა ხეზედ ჩამოკიდებული ტყავის გუდა, რომელშიაც ეწყო: ძვირფასი ბარძიმი ზედ-წარწერით, რომ გაკეთებულია 1763 წ. და 167 მისხალიაო, ფეშხუმი და სხვა საეკკლესიო ნივთები. აქვე ეკიდა ქართული თოფი. ეს ნივთები აღმოჩნდა ვეჯინის ამაღლების ეკკლესიისა, რომელიც გაუქურდავთ 15 სექტემბერს. დ. ან—მა მეორე დღესვე შეიპყრო ერთი ავაზაკთაგანი, ი. ჯანუაშვილი, კაკაბეთის მცხოვრები. ი. ჯანუაშვილმა აღიარა კიდეც თავისი დანაშაული და განაცხადა, რომ მე და ლ. სესიაშვილმა, ველისციხის მცხოვრებელმა, გავქურდეთ ზემოხსენებული ეკკლესია და ეს გუდაც ჩვენ დავმალეთ ზიარის ტყეში 20 მაისს, მაგრამ ველარ ვიპოვნეთო. იქა კიდებულა ეს გუდა, მხოლოდ 20 სექტემბერს ერთი ზიარული ბიჭი წასდგომია თავს ამ ალაგს და უცნობებია ჯერ მამასახლისისათვის და მერე ბოქაულის თანაშემწესათვის.

** გაზეთ „Кавказъ"-ში მოყვანილია ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ვენახი და ვაზი გაუსინჯავთ საფილოქსერო დასებს. ქუთაისის გუბერნიის პირველს საფილოქსერო დასს შორაპნის მაზრაში 9 სოფელში გაუსინჯავს ვენახები და ფილოქსერა სოფ. წირქვალის ერთს ვენახში აღმოუჩენია. მეორე დასსაც რამდენსამე სოფელში დაუთვალიერებია ვენახები და ფილოქსერა შემდეგს სოფლებში აღმოუჩენია: პუთასა, ცხრა-ცხარსა და სვირში. ყუბან-სოხუმის საფილოქსერო დასს გაუსინჯავს მდინარე კელასურსა და ძევთას შუა ტყის ვაზები და 18 ფილოქსერიანი ვაზი უნახავს. ამიერ კავკასიის საფილოქსერო დასი გორის მაზრაში ათვალიერებდა ვენახებს, მაგრამ ფილოქსერა არ შეჰხვედრია. კახეთის საფილოქსერო დასმა 15 სოფლის ვენახები გასინჯა და ვერც იმან აღმოაჩინა სადმე ფილოქსერა. კახეთისავე საფილოქსერო დასმა თვალი ადევნა იმ ვენახების დაკრეფას, რომელშიაც ვაზებს ობი ჰქონდათ მოდებული, და დარწმუნდა, რომ გოგირდით წამლობას ძლიერ კარგად უმოქმედნია.

** უმაღლესი მთავრობა და ადგილობრივი მმართველობა ამიერ კავკასიისა სცდილობს, რომ რაც შეიძლება მალე გაათაოს მამულების გამიჯვნის საქმე ჩვენს ქვეყანაში. ამასთანავე მთავრობას ჰსურს, ღონისძიება რამ იხმაროს, რომ მამულების დავობის შესახებ ატეხილი საჩივრებიც მალე გათავდეს ხოლმე სასამართლოებში. 1889 წ. 3 აპრილს გამოცემულმა კანონმა შესცვალა რიგი და წესი ამ საქმისა. ამის მიხედვით ტფილისის ოლქის სასამართლომაც თავის თავმჯდომარის ბ-ნ ბიკოვის განკარგულებით თავის მხრივ შეადგინა კანონები იმ რიგისა და წესის შესახებ, რომლითაც უნდა სწარმოებდეს მამულების გამიჯვნისა და სადაო საქმეები. („ტფილ. ფურც.")

** ამ თთვის 9 ტელეფონი გაიყვანეს ამიერ კავკასიის რკინის გზის ტფილისის სადგურიდგან ამავე რკინის გზის ჟანდარმების პოლიციის სამმართველომდე. („იგივე გაზ.")

** ტფილისის პოლიციამ ეხლახან დაურიგა სახლის პატრონებს სახელმწიფო გადასახადის ფურცლები. გადასახადის შესატან ვადად 1 ნოემბერია დანიშნული. ვინც ამ ვადაზე არ შეიტანს თავის ხვედრს გადასახადს, ჯარიმა დაედებათ. ამ საქმის ასე დაგვიანება თვით ქალაქის გამგეობის ბრალია, რადგან სახელმწიფო გადასახადის ფურცელი მხოლოდ ენკენისთვეში გადასცა პოლიციას სახლის პატრონებისთვის დასარიგებლად. („იგივე გაზ.")

** ამ თთვის 8, კუკიის ხიდზე ლუდხანის პატრონთა მეეტლემ სოფ. საქარას მცხოვრებელმა გიორგი გურულმა დროგს ქვეშ მოაყოლა ყარსის მცხოვრებელის მეთოდე კრავჩენკოს შვილი დიმიტრი, 12 წლისა, და მსუბუქად დააშავა. ყმაწვილი სამკურნალოში გაჰგზავნეს. მეეტლე პასუხის გებაში მისცეს.

** 9 ამ თთვისას, ავჭალის ქუჩაზე იაკობ ზილბერბერგის სახლში იმისავე მოსამსახურემ პოლოსა აბრამოვმა მოიპარა პალტოს ჯიბიდგან 20 მან. დამნაშავე შეიპყრეს და ქურდობაშიაც გამოტყდა. აბრამოვი სამართალში მისცეს.

---

### პასუხად ბ-ნ მიხეილ ნასიძეს

ქართველთა წიგნების გამომცემ ამხანაგობის გამგეობისაგან.

გვიჩივის ბ-ნი მიხეილ ნასიძე მკითხველ საზოგადოების წინაშე, რომ ჩვენმა ამხანაგობამ „ესეთი არა საკადრისი საქციელი ჩაიდინა" და „არასაკადრისიც" მხოლოდ იმისათვის, რომ „ვისაც მოქალაქობრივი მართლიერება აქვს, შეუძლიან წევრად შემოსვლაო". ამოულია ეს ადგილი ჩვენის პირობის წერილიდგანა და ენაზე დაუკერებია. გვიკვირს მხოლოდ, რომ ბ-ნ მიხეილ ნასიძეს განგებ მხარი აუქცევია და გვერდი აუვლია იმავე ჩვენის წესდების მეცხრე მუხლისათვის, რომელიც ასე გაჰნმარტავს ბ-ნ მიხეილ ნასიძის მიერ ამოწერილს ადგილს: ყოველსავე ამხანაგობის წევრად შემომსვლელს, თუნდ სულ ცოტა სწორიც რომ იყოს, კენჭი უნდა ეყაროს. იქნება ეგონოს ვისმე, რომ ბ-ნმა მ. ნასიძემ ეს არ იცოდაო? არა, ბატონებო! ვიდრე ის ჩვენში განცხადებას შემოიტანდა, ჯერ უპირველესად ჩვენი წესდება მოითხოვა, წაიკითხა, ასწონ-დასწონა და, როცა ჭკუაში დაუჯდა, განცხადებაც შემოიტანა. შორს რომ არ ვიაროთ, აი თვით იმისი განცხადებაც: „ქართველთა ამხანაგობის წიგნების გამოცემის გამგეობას.

განცხადება

რადგან სურვილი მაქვს, ჩავეწერო თქვენის ამხანაგობის წევრად, გთხოვთ, თანხმად თქვენის პირობისა მიყაროთ კენჭი მე მიხეილ ნასიძეს"...

აქედგან ცხადადა სჩანს, რომ ბ-ნმა ნასიძემ ეს გარემოება იცოდა და განგებ გაუჩუმდა. ამხანაგობამაც, რასაკვირველია, თანახმად თავისის წესდებისა და თანხმადვე თვით ბ-ნ მ. ნასიძის განცხადებისა ჩამოუტარა მას კენჭი დაფარულად, საიდუმლოდ, მაგრამ, მისდა მოულოდნელად, კენჭმა ულალატა და ამხანაგობასთან პირი გაუშავა.

მოჰვდგა ამას შემდეგ, ბატონო, და მოჰხსნა პირი: რა წუნი დამდო და ან როგორ გაბედა ჩემი გაშავება თქვენმა ამხანაგობამაო? მაგრამ ჩვენ ამისი პასუხი შეუძლებლად მიგვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩნია, ბ-ნ ნასიძევ, რადგან ჩვენ, მმართველობის წევრნი, მხოლოდ სამნი გახლავართ და თქვენი კენჭის მყრელი საზოგადოება-კი ოც-და-ხუთის კაცისაგან შესდგებოდა. ესეც რომ არ იყოს, ვინ გვეტყვის, ბატონო, თავის აღსარებას, რომ არა, მე გავაშავე მ. ნასიძე, არა, მეო, თორემ, თუ იმისი თქმა პირდაპირ სდომებოდათ, ხომ კენჭს დაფარულადაც აღარ ჩამოგიტარებდნენ. თუ მაინცა და მაინც არ დაგიშლიათ, მიბრძანდით, ბ-ნ მიხეილ, თქვენ თითონ, მეფარჩე ურიასავით, ფეხითა თქვენითა დაუარეთ კარდაკარ ყოველს წევრს ამხანაგობისასა და ბაგითა თქვენითა გამოჰკითხეთ მიზეზი „საქციელისა მაგის არა საკადრისისა“. ყოველსავე წევრს ამხანაგობისას აქვს სრული უფლება კენჭისა, რომლითაც მას თავის რწმუნებისა დაგვარ ჰოც შეუძლიან განაცხადოს და არაც, და რად ინებებთ თქვენ, ბ-ნო მიხეილ, აჰყაროთ ჩვენს წევრთ ეს უფლება; რად უკიჟინებთ, გინდა თუ არა, თეთრში უნდა ჩამიყაროთო? ახირებულია, თქენმა მზემ! თუ გაგიგონიათ „ძალად მაცხონე“, აი სწორედ ამასა ჰქვიან. ეუბნებიან: ნურას უკაცრავად, ვერ მიგიღეთო და ის-კი ძალაზე დამდგარა და კიდევაც ურცხვად გაიძახის: არ შეგეძლოთ ჩემი გაშავება, უნდა უსათუოდ მიგეღეთო,—მე დიდი (?) ღვაწლი (?) მიმიძღვის საზოგადოების წინაშე, კარგა მიცნობს ჩვენი საზოგადოება (ჭეშმარიტია) და აბა თქვენ ვინა ხართო? დამშვიდდი, ბ-ნო მიხეილ! დამშვიდდით, ბ-ნო ნასიძევ! ეგ თქვენი დიდი ღვაწლი თქვენთანვე იქმნება აწ და მარადის..., მაგისი შემცილე არავინ გამოგიჩნდება, ხოლო რომ ჩვენი საზოგადოება თქვენ კარგად გიცნობთ, ეს უთქვენოდაც ძალა გვჯერა: თქვენ სხვა რამ ბრძანეთ, ბ-ნო მიხეილ, თორე ეს ჭეშმარიტება ხომ თვით ჩვენი გამომცემელ ამხანაგობის კრებაზედაც ნათლად დამტკიცდა.

ამას შემდეგ ის, რასაკვირველია, გზა დაფანტულივით ლობე-ყურეს ედება და, რაც მოჰხვდება, იმასა სჩმახავს, რომ დაარწმუნოს ჩვენი საზოგადოება „ჩვენს არა საკადრის საქციელზედ“... «მეც საზოგადო მეგონა ეს ახალი საქმეო, გამოვუცხადე, ბატონო, თანაგრძნობა, შევიტანე საჭირო საწევრო შესატანი და მეგონა, რომ ჩემი წვლილიც მოჰხმარდება საზოგადო და ფრიად კეთილს საქმესო; ვფიქრობდი, დავეხმარებოდი, შეძლებისამებრ ჩემისა, ამხანაგობას, მაგრამ... „მაგრამ წარმოიდგინეთ თქვენი იმისი განცვიფრება, რომ წევრობაზე მას უარი განეცხადა, მისი წვლილი შეწყნარებული არ იქმნა და, მაშასადამე, თვით ეს საქმეც აღარ არის საზოგადო საქმეო“ განა, ბ-ნ მიხეილ ნასიძევ, რომელსაც ესოდენ დიდი ღვაწლი მიგიძღვით საზოგადოების წინაშე! თქვენის აზრით იქნება ეს ასეც იყოს, მაგრამ ჩვენ-კი რომ გვკითხოთ, ჩვენ მაგითი თავიც მოგვწონს—სჩანს, ჩვენს ამხანაგობას შესძლებია გარჩევა ფულისა ფულისაგან და კაცისა კაცისაგან. ფული დიდი საქმეა ჩვენის ამხანაგობისათვის, მაგრამ უმეტესს მნიშვნელობას ვაძლევთ უფრო კაცს, რომელსაც საწევრო ფული შემოაქვს. ჩვენ სწორედ ამ საქციელში დავინახეთ ჩვენის ამხანაგობის მტკიცე საფუძველი და ვიმედოვნებთ, რომ ამას შემდეგ ჩვენის ამხანაგობის რწმუნება ფულზედ არ გაიცვლება. მით უმეტეს ძვირფასად მიგვაჩნია ეს „არა საკადრისი საქციელი“, რომ, როგორც თქვენა ჰბრძანებთ, ბევრნი არიან ცათა ქვეშე და ქვეყანასა ზედა, რომელთათვისაც მოქალაქობრივი მართლიერება კანონს არ აუყრია. და რა იქმნებოდა მაშინ, რომ ბურთისა და მოედანის გადამწყვეტი კენჭი ჩვენ უარგვეყო და მარტო იმ თქვენ მიერ ამოწერილ მუხლის ამარა დავრჩენილიყავით? ეს, რასაკვირველია, გამოიწვია თქვენმა წერილმა, მაგრამ, დარწმუნებულნი ვართ, ამას თქვენ თავზედ არ მიიღებთ. თქვენ, შეიძლება, დიდად წარჩინებული გვამიცა ჰბრძანდებოდეთ, დიდი ღვაწლიც მიგიძღოდეთ საზოგადოების წინაშე, დიდი სახელიცა გქონდეთ დამსახურებული, მაგრამ მცირე რაიმე მოსაზრებისა გამო ჩვენის ამხანაგობის წევრად-კი არ ითვლებოდეთ.

ბოლოს ძალიან საჭიროდ უცვნია ბ-ნ მ. ნასიძეს ზოგიერთის წევრის დასახელება, მაგრამ არ გვესმის-კი რად? იქნება იმისთვის, რომ ეთქვა: აბა ესენი რა არიან, ამათი დაწყებული საქმე რა უნდა იყოსო.—„ეს, ვითომ საზოგადო საქმე, საზოგადოებას მიურბის (თუ ნასიძეს მიურბის?), სიბნელით იმოსება (რადგან თქვენ შუქს მოკლებულია), რაღაც საიდუმლო, არა კეთილ-შობილური „(ის. улож. о наказ. налаг. мир. суд. და სხვა დროს სიფრთხილე იქონიეთ) მისწრაფება აქვს“... ახლი პურო, ჯერ არ მიჭამიხარ და მუცელს მგვრემო, ეს სწორედ იმასა ჰგავს. ჩვენი ვითომ-და საზოგადო საქმე საზოგადოებას მიურბის, მაგრამ მით მაინც შვიდის თვის არსებობის განმავლობაში ორმოცზედ მეტი წევრი შეიძინა და დღევანდლამდე მხოლოდ ერთად ერთი თქვენს მეტი ასე პირშავად არავინ გაუბრუნებია. მაშასადამე, ვის მიურბის ჩვენი საქმე: საზოგადოებას თუ ბ-ნ მიხეილ ნასიძეს? თუ ბ-ნი მიხეილ ნასიძე თავით თვისით შეადგენს მთელს საზოგადოებას? სიბნელით იმოსება, რაღაც საიდუმლო, არა კეთილ-შობილური მისწრაფება აქვს, მაგრამ მაინც ამ ამხანაგობაში ირიცხებიან თ. ილ. გრ. ჭავჭავაძე, ბ-ნი ნიკ. ბეს. ღოღობერიძე, პროფესორი ხახანაშვილი, პროფესორი მარი, თ. ცაცაშვილი და სხვ., მხოლოდ-და თქვენი გვარი აკლია ამათ დასამშვენებლად, მაგრამ უნდა მოგისამძიმროთ, ბ-ნო მიხეილ ნასიძევ, სულითა მაშვრალითა, რომ თქვენ შეწყნარებულ არ იქმენით ამა ამხანაგობის წევრად და მიზეზი კი ამისი ჰკითხეთ მთელს ამხანაგობას, რომელმაც ესოდენ „ფრიად სამწუხარო საქციელი“ ჩაიდინა.

8 ღვინობისთვეს.
1890 წ. ქ. ტფილისი.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ახალციხე. წელს, იანვრის დამდეგს სოფ. მუსხში კვლავ გაიმართა სკოლა „კავკასიაში მართლ-მად. ქრისტ. აღმადგინებელ საზოგადოების“ ხარჯით. ეს სკოლა წინადაც არსებობდა და მხოლოდ იმავე საზოგადოებამ 1884 წელს გააუქმა, რადგან უსახსრობა უშლიდა ხელს. სკოლა ისევ ძველს წინანდელს შენობაშია მოთავსებული. აპრილის ოცს, როგორც პირობა მისცა მთავრობას, აქაური ქართველობა, რომელიც სულ 150 კომლამდეა, შეუდგა ახალის სასკოლო სახლის აგებას. სასკოლო სახლის აშენება დამთავრდა მარიამობის თვის გასულს, ძველი შენობა-კი, რომელშიაც 4—5 ოთახი იყო, მშვენიერად შეაკეთეს და ერთი ოთახი ეხლა გარეშე ბავშვების ღამე სადგომად გადააკეთეს.

სექტემბერს ახალციხის მაზრაში მობრძანდა „კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიან. აღმადგინებელ საზოგადოების“ მისიონერი და სკოლების ინსპექტორი მამა არქიმანდრიტი ამბროსი (კავკასიძე) სამისიონერო აზრითა და სკოლების დასათვალიერებლად. მობრძანებისა თანავე ახალციხეში, მეორე დღეს მ. ამბროსიმ დაათვალიერა მიქელ-წმინდის სამრევლო სკოლა, რომელიც თორმეტს კომლს ბერძენს აუშენებია მღვდ. მიხეილ ქამუტოვის მეთაურობითა და მასწავლებელიც ბერძნებს თავის ხარჯით დაუქირავებიათ. შემდეგ მ. არქიმანდრიტი მიბრძანდა სოფ. ვალის სამრევლოში, სადაც შემდეგ დარიგებისა მიჰმართა ხალხს და სთხოვა, სკოლა გაიმართეთო. 24 სექტემბერს, საღამოთი, მ. ამბროსი მიბრძანდა მუსხის სკოლაში. მეორე დღეს მთელი მუსხის ხალხი, ქალი თუ კაცი, შეგროვდა იმ ევბერთელა, ახლად აშენებულს სასკოლო სახლში. სწორედ დილის 8 საათი იქმნებოდა, რომ მ. ამბროსიმ დაიწყო ახალის შენობის კურთხევა. კურთხევას შემდეგ მ. ამბროსი მიუბრუნდა ხალხს, მიულოცა ახალის სკოლის გამართვა და მადლობა გამოუცხადა ასეთის მშვენიერის შენობის აგებისათვის. შემდეგ მისმა მაღალ ღირსებამ ვრცელი სიტყვა უთხრა ხალხს და აუხსნა სკოლის მნიშვნელობა, საჭიროება და ბავშვების წესიერად სკოლაში ტარების სიკეთე, ამას გარდა მ. ამბროსიმ აუხსნა ხალხს ცხადად, მკაფიოდ, ის, თუ ვინ არიან მესხნი, ვინ იყვნენ წინად, რანაირად მდიდრულად სცხოვრებდა ხალხი აქ, როგორი სასოება და ღვთისა და სწავლის მოყვარეობა ჰქონდათ, შემდეგ უსჯულო მტერმა როგორ გაანადგურა აქაურობა, ხმლის ძალით შეარყია ქრისტიანობა და გაამაჰმადიანა იგინი. ვრცელს სიტყვას შემდეგ მ. ამბროსიმ დალოცა ხალხი, ურჩია, იცხოვრეთ თანხმობით, სიყვარულითაო. შემდეგ სკოლის ძველი და ახალი შენობა აიაზმის წყლით ასხურა და აქედგან მიბრძანდა ადგილობრივის კრებულით ეკკლესიაში, სადაც შეგროვილმა ხალხმა მიიღო თითო-თითოდ აიაზმის წყლის სხურება მ. არქიმანდრიტისაგან. აიაზმის სხურებას შემდეგ მ. ამბროსიმ კვლავ დალოცა ხალხი და აქედგან ისევ ახალს სასკოლო სახლში ინება წაბრძანება და აქ, სადაც ჯერ-ჯერობით შეგროვილი იყო 30 მოწაფე, დაუწყო მათ გამოცდა. გამოცდას შემდეგ მ. არქიმანდრიტმა ბავშვებს ტკბილის სიტყვებით დარიგება მისცა სწავლის შესახებ, დალოცა და ყველას წვრილ-წვრილი ჯვრები და ხატები დაურიგა.

ამავე დღეს, 25 სექტემბერს, ნაშუადღევს შემდეგ მ. არქიმანდრიტი გაემგზავრა შემდეგის სკოლის დასათვალიერებლად. მგზავრობაში მისი მაღალ ღირსება ყოველს სამრევლოში მიბრძანდება ხოლმე, ეკკლესიებს ათვალიერებს. ხალხს უქადაგებს და ახალციხე—ახალქალაქის მაზრების ყველა სამრევლოს დათვალიერებას შემდეგ მ. ამბროსი წაბრძანდება ყარსის ოლქში, გუმბრის მაზრაში, ერევნის გუბერნიაში და ხანგრძლივს მოგზაურობას შემდეგ დაბრუნდება უკან.

კარანთელი

## საბიბლიოგრაფიო შენიშვნა

„ქართლის ცხოვრება“ ივანე ოქროპირიძისა.

ეს „ქართლის ცხოვრება“ გადაწერილია „უმეტ-ნაკლებოდ ვითარცა დედანსა შინა“ რიაზანში სამეგრელოს დედოფლის ნინოს მოძღვრის ხელით. თავსა და ბოლოში ვკითხულობთ სახელსა და გვარს ამ პატიოსან მშრომელისას: მღვდელი დიმიტრი ოქროშვილი. ქრისტეს აქეთ ჩყლგ (1833 წ.) წინასიტყვაობა გვაუწყებს შემდეგს: პატიოსანნო მკითხველნო. ცხოვრებასა ამას შინა საქართველოსასა მრავალსა იხილამთ შეცდომილებასა ლექსთა, რიცხვთა და აზრთა, და ვინადგან მდგომარეობისა ძალით აწინდელისა არა ძალ-მედვა მოპოვება სხვათაცა ქართლის ცხოვრებათა შესასწორებლად და შესამოწმებლად და ვიხილე—ეს „ქართლის ცხოვრება დედოფლის ნინას ხლებასა შინა მეგრელიისასა მწირობა—შინა ქალაქსა რიაზანისასა როსიასა შინა. ამისთვის ხელ-ვყავ და გადმოვწერე ცხოვრება ესე უმეტ-ნაკლებოდ ვითარცა დედანსა შინა აღწერილი იყო წელსა ჩყლგ თთვესა ივლისსა 27 დღესა. ხელ-ვყავ წერად რიაზანსა მეგრელიის დედოფლის ნინას მოძღვარმა მღვდელმა დიმიტრი ოქროშვილმა. შემდეგ ამას ვკითხულობთ:

პატიოსანნო დიდებულნო ქართველნო. ჟამთა ვითარებისაგან ქართლის-ცხოვრება გარყვნილ იყო რომელიმე მწერალთაგან და რომელიმე ჟამთა ვითარებისაგან აღარა წერებულიყო, ხოლო მეხუთემან ვახტანგ ძემან ლეონისამ და ძმისწულმან სახელოვანის გიორგისამან შეკრიბნა მეცნიერნი კაცნი და მოიხმნა სადაც რამ ქართლის ცხოვრებები ჰპოვნა და კვალად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკკლესიათა და დიდებულთანი და შეამოწმეს და რომელიცა გარყვნილ იყო განმართეს და სხვათა წერილნი მოითხოვნეს რომელიმე სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამოიხვნეს და ესრედ აღწერინეს.

დასაწყისი ამ მატიანესი იგივეა, როგორც დაბეჭდილია „ქართ. ცხოვრებაში“. სომხებსა და მათ მამათ მთავარს ეძლევა უპირატესობაჲ „პირველად ვახსენოთ ესრეთ რამეთუ სომეხთა და ქართველთა ერანთა და მოვაკანთა ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიონთა, ამათ ყოველთა ერთი იყო მამა სახელით თარგამოს ძე თარშისა, ავანანისა, ძისა იაფეთისა, ძისა ნოეს.“

(შეად. „ქართ. ცხოვ.“ გვ. 15).

თავდება ეს «ქართ. ცხოვ.» თეიმურაზის მეფობით. აი უკანასკნელი წინადადება: ხოლო კათოლიკოზი პატრიარხი ანტონი მეფის ძე დიდს პატივით მიღებული უკმოიქცა რუსეთით, რომელსა რწმუნებულიყო დიდსა იმპერიაში ეპარხია ვლადიმერისა. მოვიდა საპატრიარხოსა ტახტსავე თვისსა ზედა ძმასა თვისსა მეფეს ირაკლის თანა სიყვარულითა მისით წელსა ქრისტეს აქეთ ჩღდ, ქართულსა ჳუნა. (1764).

რადგანაც მხოლოდ ორი საათი მქონდა ეს მატიანე ხელში, ამიტომ დაახლოებით ვერ გავიცან. რაც-კი შევადარე ამ «ქართ. ცხოვ.» და დაბეჭდილში, აღმოჩნდა საერთოდ თანხმობა. აი ორი მაგალითი გვ. 47 (დაბეჭდ. გვ. 53): მაშინ იქმნა გლოვა და ტირილი და ტყება ყოველთა ზედა ქართველთა წარჩინებულთაგან ვიდრე გლახაკამდე. იტყოდეს თავთა მათთა ყოველნი და ყოველთა ქალაქთა და დაბნებთა დასდიან მგოსანი გლოვისანი, შეკრბიან ყოველნი, და ახსენებდნენ სიმხნესა და სიქველესა და სიმშვენიერესა და სახიერებას ფარსმან ქველისას და იტყოდიან: ვაჲ ჩვენდა, რამეთუ მოგვეძინა სვემან ბოროტმან და მეფე ჩვენი, რომლისაგან ხსნილი ვიყვენით მონებასაგან მტერთასა მოიკლა კაცთა მგრძნებელთაგან და აწ მიეცით ჩვენ წარტყვენად ნათესავთა უცხოთა.

მეორე ადგილი (გვ. 345—6, დაბეჭდ. 309—310) თამარ-მეფეს შეეხება: „ხოლო დროშა იგი ხალიფასი, რომელი მოიღო შალვა ახალციხელმან წარგზავნა ესე მონასტერსა დიდსა წინაშე ხახულის ღვთის-მშობლისა. ამანცა ესე ვითარად ესე იამბიკო ხუთეული ოც-და-ხუთ ლექსად აღწერა ცასა ცათასა დამწყები, ღმერთ მთავრობა.

ძე საუკუნობზ პირველვე და კვალადცა (დაბეჭდ. პირველი და კვალადი) სულმან ღვთისამან სრულ-ჰყო აროდეს ქმნადი.

სამებით სრულმან (დაბეჭდ. სულმან ღმერთმან სრულ-ჰყო არ მოქმედებადი) ერთითა ღვთაებითა.

მიწით პირველის პირმშოსაჲ კაცისა.
შენ მიერ მისთვის დრკუისა მის განმგებით,
როს დრკუი მისდრკა უვნები ვნებისადმი
(დაბეჭდილ დრკუჲ მიდრკა...)
იენო და ვნება პირველი უვნებელი ჰყო
შენგან შობილმან ჩვენ ღირს გვყვენა აღმოშობად
ბნელის ნათლისად, ნათლითა მხედველობად
შენგან ქალწულო რომლისა შენთვის დავით
როკვიდა ძისა ღვთისა ძედ შენდა ყოფად.
მე თამარ მიწა ესე შენი და მიერივე
ცხებულობისა ღირს მყავ და თისობისა.

განსხვავება როგორც ამ ამოწერაში, აგრეთვე დანარჩენს იამბიკოში მეტად მცირე და უმნიშვნელოა. ამიტომ საჭიროდ არ ვხედავ ბოლომდის მოვიყვანო ეს ლექსი.

საყურადღებოა თითო ოროლა გვერდზედ შენიშვნა, რომელიც აქა იქა ამ ხელ-ნაწერში იპოვება. ეს შენიშვნები ხრონოლოგიურისა და ხოროგრაფიულის ხასიათისანი არიან. «ადამს აქეთ ათას შვიდას ოთხმოცდა ათ თხუთმეტს წელიწადს უკან იყო ნებროთ». „არარატი-ალგოზია“, „მიდია თავრიზი არის“. „მოვაკანი არს მცირის ალაზნის“ შესაყარს ქვევითვე მცირე ალაზანი და იორი“. ჰერეთი არს მცირე ალაზნის ამომართვის გულამდე. „გარდაბან ჰაპანის ქვევით“ „შიდა ქართლი არს ტასის კარს ქვევით, ზემო ქართლი არს კარს ზემოთ“ და სხვ.

ეს მატიანე დაწერილია მხედრულის ხელითა და დაცული კარგის ყდით. უყიდნია მღ. ანდრია ოქროპირიძეს.

ა. ხახანაშვილი

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ქალებმა ამ ბოლოს დროს ძალიან წინ გაიწიეს და, ხომ მოგეხსენებათ, თუ დედაკაცმა გაიწია, მაშინ ხომ ცხრა უღელი ხარ-კამბეჩიც ვეღარ დაიმაგრებს. დღე ყოველ ქალთა უფლებით კაცთან გათანასწორების საქმე უფრო და უფრო წინ მიდის. მაგალითებრ, ამას წინად შტატი ვიომინგიც ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულს შტატებს მიეკერძა, ხოლო რადგან ამ ქვეყნის კონსტიტუციით ქალები და კაცები გათანასწორებულნი არიან და ერთ გვარივე უფლება აქვთ სამოქალაქო, საზოგადოებრივი და საპოლიტიკო, ამიტომაც, რაღა თქმა უნდა, ასევე იქნებიან მამაკაცებთან გაერთუფლებულნი ვიომინგის შტატის დედანი. გაზ. „Недѣля"-ს უცხოთა შორისის შემადგენელი სწერს, რომ

ევროპაშიაც ქალები ცოტ-ცოტა თავის სურვილს ეწევიან და არამც თუ ახალს უფლებას იძენენ, არამედ ახალს სამოღვაწეო ასპარეზსაცაო. ამას წინად ვენაში საბჭოს არჩევანების დროს თავი მოიყარეს სახლის პატრონმა და დუქნების პატრონმა ქალებმა იმ აზრით, რომ ჩვენც ხმა გვქონდეს არჩევანშიო. თხოვნა შეადგინეს მთავრობის სახელობაზედ და, ეჭვი არ არის, ამ თხოვნას შეიწყნარებს მთავრობა, მით უმეტეს, რომ მთელს ავსტრიაში, პროვინციებს ქვემო ავსტრიასა და კარანტიასა და აგრეთვე ქალაქებს ვენასა და ტრიესტს გარდა, გარდასახადის გადამხდელ ქალებს კენჭი აქვთ მინიჭებული დაბისა და ქალაქის საბჭოს არჩევანების დროს.

ასეთივე ამბავია ინგლისშიაც, აქაც ქალების მამაკაცებთან გაერთუფლების საქმე თანდათან წინ მიდის. ამ ჟამად, მაგალითებრ, დიდი ლაპარაკი გამოიწვია იმ ამბავმა, რომ ქალები სცდილობენ მებაღეობასა და მებოსტნეობას მოჰკიდონ ხელი. ამ საქმეს გულმოდგინედ ადგა მის გრეს ჰარიმანი, რომელიც თვითვე უვლის და ჰპატრონობს პაწია ბაღსა და ბოსტანს და კარგი შემოსავალიცა აქვს. ქ-ნი ჰარიმანი ამბობს, რომ მებაღ-ბოსტნეობა ქალებისათვის ძალიან სასარგებლო და შესაფერი ხელობაა და კარგი იქნება, რომ ამ საქმეს დაადგნენ არამც თუ ღარიბნი, არამედ განათლებულნი და შუა შეძლებისანიცაო. ეს საქმე ისე ძნელი არ არის საშრომლად, როგორც სხვებსა ჰგონიათ, და კალმით შრომაზე კარგს მოგებასაც იძლევაო. მისს ჰარიმანმა უკვე მთელი საზოგადოება შეადგინა მებაღეობისა და მებოსტნეობისა და ოცი წევრი ჰყავს კიდეც. თითო წევრს შეაქვს 100 მანეთი. ამ საზოგადოების უფლებით თანასწორ მოწილე წევრად იღებენ აგრეთვე ფულის არ-მქონე, ხოლო მშრომელ ქალებსაც. პირველს ბაღს ეს საზოგადოება ჰმართავს ამ წლის დამლევს და საბაღე მიწა უკვე ნაყიდი აქვთ კიდეც დერბიშირში, რკინის გზას ახლოს.

ქალები ეხლა ისეთს საქმესაც ჰკიდებენ ინგლისში ხელს, რომელიც სულ არ შეეფერება, ზოგიერთის აზრით, იმათს სქესს. ამას წინად თავი იჩინეს პოლიციის ჩუმა-მაძიებელ ქალებმა და, გაზეთების სიტყვით, კარგა გვარიანადაც ასრულებენ ამ თანამდებობას. ერთმა მათგანმა, უმთავრესმა ჩუმა-მაძიებელ ქალმა ამას წინად საყურადღებო ცნობები უამბო თურმე გაზეთ „Tit-Bits"-ის რეპორტერს. ამ იუბკიან პოლიციელს, სასიამოვნო და ანგელოზისებურს ქალს გამოუცხადებია, რომ ყმაწვილობიდგანვე ძალიან მიყვარდა ისეთის წიგნების კითხვა, სადაც ათას გვარი საიდუმლო და ჟანყითა და ბურუსით მოცული ავაზაკობანია აღწერილიო. როცა მამაჩემი გაკოტრდა, განვიზრახე ეს სიყვარული ავაზაკობის საიდუმლო ნასკვის გამოხსნისა საქმეში მომეხმარებინა. ჩავეწერე ჩუმა-მაძიებელ ქალთა შორის, რომელთა რიცხვშიაც ბევრი განათლებული ქალიც არის. ჩვენი მოვალეობა ის არის, რომ სხვა-და-სხვა გვარი როლი ვითამაშოთ და მეც ხშირად ხან ლუდხანაში მომიხდება ხოლმე გოგოდ ყოფნა, ხან სასტუმროში—მოსამსახურედ და ხან კიდევ—ქალბატონად. ამასთან საჭმლის გარჩევაში არ უნდა ვიყვნეთ და ნებიერობა არ დავიწყოთ. შიშსა და ათას გვარ ფათერაკს ადვილად ვიტან, რადგან ძალიან მიყვარს ჩემი ხელობა. არაფრისა მეშინიან, თუმცა იარაღს არ ვატარებ. ბევრჯელა ვყოფილვარ დიდს საფრთხეში, მაგრამ ყოველთვის საშტვენი დამიხსნიდა ხოლმე. ერთხელ ერთს კაცის მკვლელს შევხვდი და პირდაპირ ვუთხარი: „გამოტყდით, რომ თქვენ მოუღეთ ბოლო ამა-და-ამ კაცის სიცოცხლესა"-მეთქი. მობრუნდა, ამოიღო დამბაჩა და უნდა მოვეკალი, მაგრამ მე მშვიდობიანად ვუთხარი: „მესროლეთ, მაგრამ მანამდე დავუსტვენ, მაშინვე ოცი კაცი დაგესხმის თავს და დაგაპატიმრებს"-მეთქი. ავაზაკმა მაშინვე მოჰკურცხლა, ხოლო დავუსტვინე და იქავე გააკავეს. ერთის საგანგებო საქმის გამოსარკვევად მთელი კვირა ვდიე ერთ ქალს და ერთს ჩემს თანაშემწე ქალს კიდევ მათხოვრობა დავაწყებინე. ამ ქალმა ფანჯარიდგან იმ გლახას წუმწუმის კოლოფით რამდენიმე გროში გადმოუგდო. კვალს გავყევი და იმ კოლოფის შემწეობით ყველა ავაზაკი აღმოვაჩინე. მეორე საქმეში ერთს ყმაწვილს კაცს ყალბის თამასუქის შედგენა ჰბრალდებოდა, მაგრამ ვერაფრით გამოსტეხეს. მთელი ზაფხული გავატარე ბრაიტონის ძვირფასს სასტუმროში, თავი შევაყვარე და დანაშაული ვათქმევინე. საკომერციო ფირმები მომანდობენ ხოლმე, ჩვენის რწმუნებულ ნოქარების საქციელს ადევნეთ თვალ-ყურიო და 3,000—6,000 მან. მაძლევენ. საზოგადოდ ჩვენი ხელობა ძალიან სარფის მომცემია და თუმცა დიდი ხარჯი გვაქვს, მაინც წელიწადში 3,000 მანათამდე წმინდა მოგებას ვიღებთო.

აწინდელს არხეოლოგებშიაც ბევრსა ჰშრომობს ქალი. გაზეთი „Deutsche Rundschau"-ში ჩამოთვლილია ხუთი გამოჩენილი და შესანიშნავი არხეოლოგი ქალი. ამათ შორის არის ერთი

გერმანელი ქალი, ცოლი შლიმანისა, რომელიც ქმარსა შველოდა ტროის სიძველეთა მებნაში; ერთი ფრანგია, ქ-ნი დიოლაფუა, შესანიშნავი მოგზაური სპარსეთისა, და სამი ინგლისელი: მისტრის ჯემსონი, მისს ტვინინგი და მისს სტოქსი. პირველმა ამ სამთაგანმა აქვს წიგნად ისეთი მშვენიერი შრომა დაჰბეჭდა ქრისტიანთა ხატების ხატვის შესახებ, რომლისთანაც არც ერთს ქვეყანაში არ მოიძებნება. მან პირველად გამოიკვლია წესიერად საბერძნეთისა და რომის ხატების ხატვის საქმე. მართალია, ამ მისტრის ჯემსონის ნაშრომს არ შეედრება ლუიზა ტვინინგის თხზულებანი, მაგრამ მაინც-კი იმასაც საპატიო ადგილი უჭირავს ქრისტიანთა არხეოლოგიის ლიტერატურაში ორის მისის თხზულების გამო: „სიმბოლონი და ნიშნები პირველ-ყოფილ და საშუალ-საუკუნის ქრისტიანთა ხელოვნებისა" და „დაბადების ტიპები ხელოვნებაში". მისს მარგარიტა სტოქსმა, დუბლინის პროფესორის ქალიშვილმა, ამას წინად გაათავა უნივერსიტეტში სწავლა და ხელი მიჰყო ირლანდიის სიძველეთა შესწავლას. მანვე ამას წინად შეადგინა ნუსხა ყველა იმ ძვირფას ძველის განძისა, რომელიც-კი კენსინგტონის მუზეუმშია დაცული.

ეს შრომა, ერთის გერმანელის მეცნიერის სიტყვით, ყველა სხვა ამ გვარს თხზულებას აღემატება ღირსებით და ვერც ერთი პროფესორი ვერ გამოიჩენს ასეთს ცოდნით დასაბუთიანებულს კრიტიკულს მსჯელობას. ამას გარდა, ისეც ბევრი ახირებული ლაპარაკი ასტყდება ხოლმე ამ ჟამად ინგლისის ჟურნალ-გაზეთებში ქალების შესახებ. ინგლისში საგანგებო ჟურნალიც გამოდის, სახელად „Woman"-ი (დედაკაცი), რომელიც დედათა საქმის ავ-კარგიანობის გამოკვლევასა და გამოძიებაშია. ამას წინად ეს ჟურნალი დაეკითხა თავის ხელის-მომწერლებს: „რა გგონიათ, თქვენის აზრით, ქალებიც უნდა ეარშიყებოდნენ და ეტრფიალებოდნენ კაცებს, თუ არაო?" აქ არშიყობა და ტრფიალი კანონიერის ქორწინებით შესაკავშირებელ იარაღის აზრით არის ხსენებული. ქვეყნის ყოველ მხრიდგან მოუვიდა რედაქციას პასუხი და უმრავლესობა წინააღმდეგი იყო. ხოლო რედაქციამ ასწონ-დასწონა ყველას აზრი საერთოდ და იმ დასკვნას დაადგა, რომ ქორწინების საქმეში თაოსნობა დედაკაცს უნდა მიენიჭოს, რადგან დედაკაცმა უკეთ იცის მამაკაცზედ, რა უფრო თავისის ქმრისთვის კარგი და სასარგებლო და, ამას გარდა, ბევრი კაცი იმდენად გაუბედავია, რომ ვერც-კი დაუწყებს ხოლმე ქალს არშიყსაო.

◆◆

## რუსეთი

კარგა ხანია, რაც რუსეთის შიდა გუბერნიებში დაარსებულია საგლეხო ბანკები. ამ ბანკების დანიშნულება ის არის, რომ გაუადვილოს გლეხებს შეძენა მამულებისა. თვითონ ბანკი აძლევს სესხად გლეხებს ფულს რომელისამე გასასყიდის მამულის შესაძენად და მერე წვრილ-წვრილად ახდევინებს ვალს, რასაკვირველია, სარგებლით. სამწუხაროდ, ეს სარგებელი საკმაოდ დიდია და ამის გამო გლეხებს ძლიერ უჭირდებათ შეტანა გარდასახადებისა ბანკში. უჭირდებათ გადახდა ბანკის ვალისა იმიტომაც, რომ იშვიათად იყიდიან ხოლმე გლეხნი მარტო ბანკიდამ აღებულის ფულით. ხშირად უფრო მამულში მეტი უნდა მისცენ, ვიდრე ბანკი იძლევა სესხად. გლეხნი ამისთანა შემთხვევაში იძულებულნი არიან, კერძოდ იშოვონ მამულის სასყიდლად დასაყრელი ფული, ხოლო კერძოდ ნაშოვნს ფულში იხდიან მეტად დიდსა და ულვთო სარგებელს. ყოველ ამის გამო დიდძალი ბანკში შესატანი დაედოთ კისრად მამულის მსყიდველს გლეხებს. ბევრმა სულ ვეღარ მოახერხა შეტანა და მამული საჯაროდ გაეყიდათ, ან არა-და დარჩათ თვით ბანკებს.

გაზ. ‹Бирж. Вѣд.›-ში მოხსენებულია, რომ 510 ათასი მანეთი ერთი ირიცხება საგლეხო ბანკების შემწეობით მსყიდველს გლეხებზეო, და ამას გარდა, კიდევ თავნი ვალი იმ მამულებისა, რომელიც ბანკს დარჩა გლეხთაგან და არ გაიყიდა, 5 მილიონ ნახევარ მანათზე კიდევ მეტიაო. თვითონ ბანკმა იზარალა 489 ათას მანათამდეო.

რუსეთის გაზეთები ამბობენ, რომ უმთავრესი მიზეზი ასეთის სამწუხარო შედეგისა იმ საქმეში, რომელიც კეთილის განზრახვით იყო დაწყებული და რომელსაც მხოლოდ გლეხთა გამამულიანება ჰქონდა საგნად, ორი გარემოება არისო. ერთი ის, რომ დიდს სარგებელს ახდევინებს ბანკი გლეხებს, ხოლო მეორე ის, რომ ბანკი არ აძლევს მამულის ყიდვის მსურველს გლეხს იმდენს სესხს, რამდენსაც ითხოვენ მამულის გამყიდველნიო. საჭიროა ეს ორი დამაბრკოლებელი მიზეზი აცილებულ იქმნას და მაშინ საგლეხო ბანკი სწორედ რომ დიდად სასარგებლო იქმნება გლეხობისათვისაო.

◆◆

## უცხოეთი

გერმანია. ერთი კრება სოციალ-დემოკრატებისა ჰალლეშია, მეორე კიდევ ლილში. ამ მეორე კრებაზე თავსმჯდომარეა ადელინა მარქსი, ასული ეკონომისტის კარლ მარქსისა.

— გერმანიის გაზეთებს ძალიან საეჭვოდ მიაჩნიათ, რომ მოხერხდეს სატამოჟნო კავშირის ჩამოგდება გერმანიასა და ავსტრი-ვენგრიას შორისაო.

— გერმანიის მთავრობას აზრად აქვს, აჰხადოს ბაჟი, რომელიც ადევს ავსტრიისა და იტალიიდამ შემოტანილს პურსა და საკლავ საქონელს.

— ერთი იტალიური გაზეთი ამბობს, რომ ტყუილია, ვითომ გერმანიის კანცლერმა კაპრივიმ და იტალიის მთავარ-მინისტრმა კრისპიმ უნდა ინახულონ ერთმანეთიო. სხვა გაზეთები-კი ამტკიცებენ, რომ ამ ორ კვირაზე ზემო-იტალიაში შეიყრებიან ერთად კრისპი და კაპრივიო.

საფრანგეთი. საფრანგეთი აღარ უწყრება ბოლგარიას ისე, როგორც აქამდე უწყრებოდა. ამ დღეებში ეს სახელმწიფოც შეეკრა სავაჭრო პირობით ამ პატარა ქვეყანას, მხოლოდ დროებით-კი. პირობა ისეთია, რომელიც აქვთ დადებული ბოლგარიასა და მის მომხრე და მფარველს სახელმწიფოებს.

— მერმექსი, რომელმაც დაიწყო გაზ. „Figaro"-ში ბულანჟეობის საიდუმლოების გამოაშკარავება და რომლის შესახებაც გავრცელდა ხმა, რომ გარდაიცვალაო, მორჩენილა და კვლავ აპირობს, განაგრძოს ბეჭდვა თავის წერილებისა, სასიხარულოდ ამ გვარ ამბების მოყვარულთა.

— რუვიეს ბევრი რამ უმართებულო საქმე დასწამეს და ამიტომ საეჭვოა, რომ მინისტრად დიდხანს კიდევ დარჩესო. იმის მაგიერად ფინანსთა მინისტრის პორტფელი ლეონსეს ჩაჰბარდებაო.

— გაზ. „Figaro" ამბობს, რომ სერბიის მთავრობა ამზადებს საიდუმლოდ დეკრეტს სერბიის მეფედ ნამყოფის მილანის გაძევების შესახებ მილანიდამაო.

— იგივე გაზეთი ამტკიცებს, რომ სომხურის გაზეთის ‹არაველიქის› რედაქტორი ოსმალეთის მთავრობამ დააპატიმრა, რადგან დაჰბრალდა, სომეხთა ამბოხებაში მონაწილეობას იღებდაო.

ინგლისი. ინგლისის გაზეთები და სახელმწიფო კაცნი ძლიერ წინააღმდეგნი არიან მაკ-კინლის სატამოჟნო ცვლილებისა. გლადსტონს უთქვამს ამ ცვლილების შესახებ: მაკ-კინლის პროექტი, ჩემის აზრით, დიდად სამწუხარო შეცდომილებაა, რომელსაც თან მოსდევს მეტად ძნელი და ულმობელო შეწუხება უდანაშაულო, უბრალო ხალხისაო. უნდა ვთქვათ, რომ არც ერთს ევროპის სახელმწიფოს არ მიაქვს იმოდენი საქონელი და სავაჭრო ჩრდილო ამერიკის შტატებსა და არც გამოაქვს იქიდამ იმდენი, რამდენიც ინგლისს. ასში ოც-და-სამი წილი ყველა იქ შეტანილის საქონლისა ინგლისისაა, ხოლო იქიდამ გამოტანილ ასში ორმოცდა თორმეტი წილი ინგლისს მოაქვს თავისთვის.

◆◆

## წვრილი ამბები

ლონდონის სალიტერატურო კონგრესი გათავდა. მეორე კონგრესი დანიშნულია ბერლინში 1891 წლისათვის.

— ეხლა ხან მოკვდა გამოჩენილი ბუროვი, რომელიც ამერიკის რკინის გზებზე დანავარდობდა და უმოწყალოდ ჰკლავდა კაცებსა და სძარცვავდა. ბევრმა ამერიკის რკინის გზის საზოგადოებამ დაუნიშნა ჯილდო ბუროვის დამჭერს, მაგრამ ვერა და ვერ ჩაიგდო ხელში. მხოლოდ ამ ბოლოს დროს საიდუმლო პოლიციის მოხელეებმა შეიპყრეს ალაბამის ერთს ბაღში, როდესაც ბუროვი არხეინად მიირთმევდა საუზმეს. მაშინვე შეჰკრეს და მახლობელს სასტუმროში გაგზავნეს. სასტუმროში ბუროვს მთელი ღამე თავს ორი ყარაული ადგა, ერთი პოლიციელი და ერთიც ზანგი. რაც რამ ზედ ფული ჰქონდა ბუროვს, აიღეს და სასტუმროს უფროსს მიაბარეს. დილის 4 საათზე ბუროვმა უთხრა ყარაულებს, ძლიერა მშიან და ჩემი აბგა მომიტანეთ, შიგ გამხმარი პური მაქვს, და უნდა ვჭამოვო. ჯერ რამდენიმე ლუკმა შეჭამა და მერე ხელი ჩაყო იმავე აბგაში, ამოიღო ორი გატენილი რევოლვერი და ყარაულებს დაუმიზნა, ამ საათში გამხსენით, თორემ მოგკლავთო. როცა ხელები გაუხსნეს, ახლა თითონ შეჰკრა პოლიციელი, ხოლო ზანგს-კი უბრძანა, წადი სასტუმროს უფროსს დაუძახეო. შემოვიდა თუ არა სასტუმროს უფროსი, ბუროვმა იმასაც რევოლვერი დაუმიზნა, მაგრამ სასტუმროს უფროსი უეცრივ გატრიალდა, შეუვარდა თავის ოთახში და რევოლვერს წაავლო ხელი. ბუროვმა იდროვა და გაიქცა. სასტუმროს უფროსმა რევოლვერის სროლა

დაუწყო ზუროვს, რომელიც სასიკვდილოდ დაიჭრა და ძირს დაეცა. სამპატიმროს უფროსი და ზანგიც სასიკვდილოდ არიან დაჭრილები. ზუროვმა თავის სიცოცხლეში 30 ჯერ გამარცვა მატარებელი და კაცებიც ბლომად დახოცა.

— მაკ-დონალდის ოფიციალურ მოხსენებიდგანა სჩანს, რომ კრემლი უეცრად დაისაჯა სიკვდილითა, დიდხანს არ იტანჯა და წამების ოთახში შეუვანასა და დასჯას 20—30 წუთის მაგიერ მხოლოდ 8 წუთი მოუნდა. შეიძლება ნიუიორკის შტატმა ყურადღება მიაქციოს მაკ-დონალდის მოხსენებასა და დააკანონოს დამნაშავეების ელექტრონის შემწეობით დასჯა, რადგანაც კანონი მხოლოდ იმასა სცდილობს, რომ დამნაშავე სწრაფად დაისაჯოს და ბევრი არ იტანჯოს ხოლმე სიკვდილის დროს.

— ვენელმა გერმანელმა გერმან ცეიტუნგმა, რომელმაც იმით ისახელა თავი, რომ ვენიდგან პარიჟში დაკეტილის უუთით მივიდა, კიდევ იმოგზაურა ამ ნაირადვე გამბურგიდგან ლონდონამდე. ჩაკეტილს უუთში ჩაწვა, რომელსაც ზევიდგან ეწერა, შიგ ხავერდიაო, და ისე გაემგზავრა გამბურგიდგან. როდესაც გემი ლონდონში მივიდა და დაცლა დაუწყეს, ერთის უუთიდგან უეცრად რეველვერის ხმა შესმათ. გაოცებული მუშები მივარდნენ, ახადეს უუთი და გერმან ცეიტუნგი-კი ამოაბძანეს. თუმცა ხავერდის შეტანისთვის ინგლისში დიდს ბაჟს ახდევინებენ, მაგრამ ამ ამბით გაკვირვებულებმა გერმან ცეიტუნგს არაფერი არა გამოართვეს-რა. მე იმიტომ მოვედიო, სთქვა ცეიტუნგმა, რომ აქ ხალხს ვეჩვენო, როგორც გამოჩენილი კაცი, და ფულები ავიღოვო.

◆◆

# დეპეშა

9 ოქტომბერი

უზუნ-ადა. აქ მოვიდა რამდენიმე ფრანგი პრევოს მეთაურობითა და უნდათ, გაიცნონ ამიერ-კასპიის მხარეში, ბუხარას, ჩრდილოეთ ავღანისტანსა და თურქესტანში ცხვრის მოშენებისა და მატყლის ვაჭრობის საქმე. ამ ფრანგებს დიდ-ძალი ფული აქვთ თანა და ამიტომ იმედია, რომ მატყლის ვაჭრობა გაცხოველდება მთელს კასპიის ბარ ადგილებში, განსაკუთრებით-კი შუა-აზიის რუსეთის სამფლობელოში.

10 ოქტომბერი

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, გაზეთი „Восточное Обозрѣніе“-ს ბეჭდვა შეყენებულ იქმნა ოთხის თვით.

კომანდირი მეცამეტე არმიისკი კორპუსისა გრაფი ტატიშჩევი დაინიშნა თანაშემწედ კავკასიის მთავარ-მართებლისა.

17 ოქტომბერს, დღეს ხელმწიფე იმპერატორის ავგუსტოვსის სახლობის სასწაულებრივ გადარჩენისას, ნაბრძანებია ყველგან ჯარები იქმნას გამოყვანილი საეკკლესიო ლიტანიად; აგრეთვე გარდახდილ იქმნას სამადლობელი პარაკლისები და ჯარის კაცნი განთავისუფლებულნი სწავლისა და საქმობისაგან.

„С.-Пет. Вѣд.“-ი იუწყება, რომ სახელმწიფო საბჭოს წარედგინება დებულება სახელმწიფო გლეხთა და ციმბირის უცხო ტომის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრების მოწყობისა და რომ ვითომ აპირობენ ციმბირშიაც შემოიღონ სათემო უფროსების ინსტიტუტი.

პეტერბურგის ბირჟა, 9 ოქტომ.

| | მყიდველნი მან. | კ. | გამყიდველნი მან. | კ. | გაყიდულნი მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — | „ | — | „ | 6 | 53 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | „ | — | „ | 130, | 87 |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — | „ | — | „ | 1 | 12 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — | „ | — | „ | 229 | |
| —მეორისა . . . . . | 212¾ | | — | „ | — | „ |
| —მესამისა . . . . . | 213½ | | — | „ | 211 | |
| გირავნობის ფურცელნი ტ ილისის ბანკისა . | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — | „ | — | „ | — | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შევლით.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით სადამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

„ქართული სალმთო წიგნთ-საკითხავი“ გადავიდა ორბელიანის ქუჩაზე სალინოვის სახლებში № 12. მადლის ასოების ჩამოსასხმელს ქარხანას პირდაპირ.

მზრუნველი ტფილისის ნერსესიან სომხეთა სასულიერო სასწავლებლის სემინარიისა ამით აცხადებს, რომ 24 ოქტომბერს, საღამოს რვა საათზე, ვაჭრობის განუმეორებლად გაიცემა იჯარით ახლად აშენებულ სემინარიის ქვემო სართულში ოთხი მაღაზია, რომელიც იმყოფება ალექსანდრეს მესამე ნაწილში ძველს ფოსტის ქუჩაზე. იჯარით აღების მსურველს პირობის შეტყობა შეუძლია სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის, 10 საათიდამ შუადღის 12 საათამდე.

(3—3)

„ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ მაღაზიაში ისყიდება შემდეგი ახალი გამოცემანი:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზ. ი. დავითაშვილისა (სურათით და ბიოგრაფიით) . . . . . . . | „ | 80 |
| „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ (ლეგენდა) ბაჩანასი . . | „ | 15 |
| ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . - . . | „ | 25 |
| არჩილიანი ანუ მეფის თეიმურაზ პირველის ცხოვრება ძველი მწერლობა. | „ | 75 |
| სიბრძნე სოლომონ მეფისა (სურათით) . . . . . | „ | 15 |
| „მარაბდა“ პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| „წყალობა“ პოემა მისივე . | „ | 20 |
| შვილის აღზრდა თ. ხუსკივაძისა . . . . . . | „ | 20 |
| „ვეფხვის ტყაოსანი“ (ჯიბისა). . . . . . . | „ | 40 |
| „ბატონ - ყმობა საქართველოში“ ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა . . . . . . . | „ | 50 |
| „ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა“ გ. იოსელიანისა . . . . . . . | „ | 20 |
| „ბორკილი“ დრამა 4 მოქმედებად თხზ. სუმბათაშვილისა თარგ. ა. ახნაზაროვისა . . . . . | „ | 40 |
| „კიკოლას ნაამბობი“ პოემა აკაკისა . . . . . . . | „ | 20 |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჭყონიასი . . . . . | 1 | 50 |

(ლორის მელიქოვის ქუჩა ზუბალოვის სახლი). . (5—3)

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

## ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა

ჟურნალ „ნობათი“-ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება რასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ღომკაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

**2 მან.**

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 10 მ. — კ. | | 6 თვით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცი თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

უმაღლესად დამტკიცებული კავკასიის სააფთიაქო საქონლის ვაჭრობის ამხანაგობაში

მიღებულია დასნეულებულ ვაზების საქმოდ:

ვერმორელის აპარატები

და ზოგიერთი სათადარიგო მოწყობილობა (ვინიცობაა, აპარატს გაუტყდა რამე), საბერველები გოგირდის ფხვნილისათვის, საუკეთესო ინგლისური შაბიამანი, გოგირდის ფხვნილი (СѢРНЫЙ ЦВѢТЪ) და სხვ.

ვინც ვერმორელის აპარატებს გამოიწერს, იმას დაეთმობა მეურნე გ. დ. ინანოვის წიგნი რუსულ ენაზე.

„მოკლე პრაქტიკული დარიგება ვენახების საქმოდ“.

სხვა-და-სხვა მოწყობილობა და მასალა

ღვინისა და ვენახის წვენის გასაწმენდად და გამოსაკვლევად.

ვისაც ყიდვა სურს, ბე უნდა გამოგზავნოს.

(50—44)

სტამბა

გრიგოლ ჩარკვიანისა

(ტფილისს ლორის-მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახ.)

ვიღებ ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს დასაბეჭდად, საქმის შემომკვე, თელს პირობას ვაძლევ სუფთად დაბეჭდვისა და დანიშნულს დროზედ შესრულებისას. ფასი ბეჭდვისა ზომიერია. გარეშეთათვის ადრესი: Г. Тифлисъ. Типографія Григорія Чарквіани.

(5—4)

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

## „ისტორიული ნარკვევი“

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ოზურგეთში—თავართქილაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.

Доз. цен. Тифлисъ, 10-го Октября 1890 г. Типо-Литографія К. I. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე